თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი 2024-25 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში აცხადებს მიღებას შემდეგ სადოქტორო პროგრამებზე:

1. **სახელოვნებათმცოდნეო კვლევები** – 7 ადგილი

   მიმართულებები:

- **შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება** – 2 ადგილი (აქედან ერთი ადგილი მიზნობრივი - შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნება)
- **ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება** – 5 ადგილი

2. **კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა** – 3 ადგილი

3. **კულტურის კვლევები (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები)** – 2 ადგილი

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს პირს, რომელმაც მოიპოვა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან მის მიერ უცხო ქვეყანაში მიღებული უმაღლესი განათლება, აღიარებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით („უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად) და უთანაბრდება მაგისტრის აკადემიურ ხარისხს და რომელიც აკმაყოფილებს სადოქტორო პროგრამით დადგენილ წინაპირობებს.

<u>**რეგისტრაცია**</u>:

დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველებმა **2024** წლის 13 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით, ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 12:00 საათიდან 17:00 საათამდე ფაკულტეტის დეკანატში (მისამართი: ალექსანდრე გრიბოედოვის ქ. N22) უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება დეკანის სახელზე;
2. განმცხადებლის პირადი ინფორმაცია (CV);
3. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი;
4. უმაღლესი განათლების უცხო ქვეყანაში მიღების შემთხვევაში დიპლომის ან დანართის

სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანები და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;

5. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
6. 3 წლის სამუშაო გამოცდილება (შრომითი ხელშეკრულება ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი). უპირატესობა მიენიჭება შერჩეულ სფეროში პროფესიულ გამოცდილებას;
7. უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი (თუ ასეთი მოეპოვება დოქტორანტობის კანდიდატს) ნოტარიულად დამოწმებულ ასლთან ერთად (სერთიფიკატების ჩამონათვალი რომელსაც აღიარებს თსსა).
8. სამოტივაციო წერილი, რომელშიც დასმული იქნება საკვლევი პრობლემა და მოცემული იქნება კანდიდატის ხედვა მისი გადაჭრის გზებზე;

უცხო ენებთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია:

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დროს დოქტორანტს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისური, ფრანგული ან გერმანული) ცოდნის დადასტურება B2 დონეზე.
- თუ დოქტორანტობის კანდიდატი აბარებს ფრანგულ ან გერმანულ ენას, მას მოეთხოვება ამ ენის გამოცდაზე B2 დონის დაძლევა და დამატებით გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში B1 დონეზე.
- უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ იგი წარმოადგენს ინგლისური, ფრანგული ან გერმანული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს (სერთიფიკატების ჩამონათვალი, რომელსაც აღიარებს თსსა, იხ. ქვემოთ), მაგრამ ფრანგული ან გერმანული ენის B2 დონის სერთიფიკატის წარდგენის, ან ამ ენების ჩაბარების შემთხვევაში, დოქტორანტობის კანდიდატი დამატებით აბარებს გამოცდას ინგლისურ ენაში B1 დონეზე, ან წარმოადგენს ინგლისური ენის B1 დონის ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატს.
- გამოცდისაგან თავისუფლდება აგრეთვე დოქტორანტობის ის კანდიდატი, რომელსაც ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხური გავლილი აქვს ინგლისურ, ფრანგულ ან გერმანულ ენაზე, თუმცა გერმანული ან ფრანგული ენის შემთხვევაში იგი დამატებით აბარებს გამოცდას ინგლისურ ენაში B1 დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ მას ამავე დროს აქვს ინგლისური ენის B1 ან მეტი დონის სერტიფიკატი, მაშინ სრულად თავისუფლდება გამოცდიდან (წარმოდგინილი უნდა იყოს უცხო ენაზე განათლების შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი).

<u>**გამოცდა უცხო ენაში:**</u>

ის კანდიდატი, ვისაც არ აქვს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ჩააბარებს თსს აკადემიის მიერ ორგანიზებულ გამოცდას უცხო ენაში, რომელიც ჩატარდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში **ამა წლის 9 სექტემბერს** (ზუსტი დრო და აუდიტორია გეცნობებათ მოგვიანებით).

თსსა გაცნობებთ გამოცდის შეფასების შედეგებს. ასევე, გამოცდის შედეგები გამოქვეყნდება თსუ-ს ვებ-გვერდზე.

სერთიფიკატების ჩამონათვალი:

სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს გერმანული, ინგლისური ან ფრანგული ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნას, ათავისუფლებს კანდიდატს ამ ენებში გამოცდისაგან. ასევე ამ ენებში გამოცდისაგან თავისუფლდებიან კანდიდატები, რომელთაც ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის კურსი გავლილი აქვთ გერმანულ, ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე.

<u>გერმანული ენა</u>	Goethe – Zertifikat B2
<u>ინგლისური ენა</u>	CEFR B2
	IELTS exam – 5
	BEC exam and CELS exam – Vantage
	Cambridge exam – FCE
	Pritman ESOL International
	TOEIC – 541
	TOEFL – 500 (paper - based); 173 (computer - based); 61 (internet - based)
	U. S. Embassy (Fulbright) Certificate
	International English Certificate
	CERTUS
<u>ფრანგული ენა</u>	Diplome de Langue Francaise (DL) (AF)
	Diplome d'Etudes en Langue Francaise DELF/B2 (CIEP)

1. ვისაც აქვს ჩაბარებული: Zertifikat Deutsch für den Beruf, DAF, Sprachdiplom Kultrusminister

2. Konferenz, ZMP, Zentrale Oberstufenprüfung, Kleines/Grosses Deutsches Sprachdiplom, DSH უნივერსიტეტებისთვის თავისუფლდება გერმანულში გამოცდისაგან.

<u>**გამოცდა სპეციალობაში:**</u>

2024 წლის 16 სექტემბრიდან 27 სექტემბრამდე (ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ. ფოსტით) ჩატარდება გამოცდა სპეციალობაში იმ კანდიდატებთან, ვინც წარმატებით დაძლევს ინგლისური ენის გამოცდას ან წარმოდგენილი ექნება შესაბამისი უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

სამივე პროგრამის დოქტორანტობის კანდიდატები ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი მიმღები კომისიის წინაშე წარადგენენ პრეზენტაციას საკვლევი თემის პრობლემატიკის შესახებ. გარდა პრეზენტაციისა, სახელოვნებათმცოდნეო კვლევებისა და კულტურის კვლევების პროგრამების კანდიდატებმა (აღნიშნული არ ეხება კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის კანდიდატს) უნდა წარმოადგინონ რეფერატი იგივე თემაზე არანაკლებ 15 გვერდისა, რომელსაც აფასებს შესაბამისი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი მიმღები კომისია.

რეფერატის შეფასების კრიტერიუმები:

- საკვლევი თემის მკაფიოდ განსაზღვრა;
- კვლევის მიზნის მკაფიო ფორმულირება;
- სიახლე;
- თემის შესაბამისი საკვლევი მასალის მოძიება;
- კვლევის ზოგადი გეგმის მონახაზის არსებობა;
- კვლევის სავარაუდო მეთოდების განსაზღვრა;
- ესეს სიმწყობრე და ლოგიკური სტრუქტურა

გამოცდის შედეგები კანდიდატებს ეცნობებათ იმავე დღეს.

ამავე ეტაპზე პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით და სტუდენტთან შეთანხმებით ინიშნება თემის ხელმძღვანელი და აუცილებლობის შემთხვევაში, თანახელმძღვანელი სასწავლო კომპონენტის შემდგომ განსახორციელებელი კვლევითი კომპონენტის მიზნებისათვის.

გამოცდის შედეგად გამოვლენილი წარმატებული კანდიდატები, აკადემიაში სწავლის გაგრძელების სურვილის დასადასტურებლად და ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა

გამოცხადდნენ რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანატში 1 ოქტომბრიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით.

შენიშვნა: ზემოთ აღნიშნული საბუთების წარმოდგენის გარეშე კანდიდატი ვერ გააფორმებს ხელშეკრულებას თსს აკადემიასთან სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხად.

სამეცნიერო კვლევითი პროცესის შესახებ შეკითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით შესაბამისი პროგრამების ხელმძღვანელებს.

პროგრამა – სახელოვნებათმცოდნეო კვლევები
მიმართულება: ახალი და უახლესი ქართული ხელოვნების ისტორია
ხელმძღვანელები: ნინო ღაღანიძე – nino.gaganidze@art.edu.ge 599109649, სამსონ ლეჟავა – 599950829

მიმართულება: შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ისტორია
ხელმძღვანელი: ანა კლდიაშვილი – ana.kldiashvili@art.edu.ge 599510199

პროგრამა – კულტურის კვლევები (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები)
პროგრამის ხელმძღვანელი: ლელა ფირალიშვილი – lela.piralishvili@art.edu.ge 577991901

პროგრამა - კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
პროგრამის ხელმძღვანელი: თამარ ლილუაშვილი – tamar.liluashvili@art.edu.ge 595370555

რეგისტრაციის, სასწავლო პროცესისა და სხვა ტექნიკური საკითხების შესახებ
საკონტაქტო პირი: ლოლა ციცხვაია – lola.tsitskhvaia@art.edu.ge 591975217